

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N01.02.01/30/554

ქ. თბილისი

13.12.2018 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) მამუკა მუმლაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „თბილისი რეფიერ კომპანი“ (შემდგომში „მიწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის შორენა ნაცვლიშვილის სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება,

ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - ქალაქ თბილისში შუქნიშნის ძველი ობიექტების განახლებისა და ახალი ობიექტების მოსაწყობად შუქნიშნების, დეტექტორების, კამერების და კონტროლერების (თანმდევი მომსახურებით - დამონტაჟება და მათი მართვის ცენტრთან მიერთება) და უსაფრთხოების კუნძულების მოწყობის შესყიდვა. მიწოდებლის მომსახურების ხარჯთაღრიცხვა (დანართი N1), შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება (10 ფურცელი) და ესკიზები (19 ფურცელი) თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
- 2.2 შესყიდვის საშუალება - ელექტრონული ტენდერი (აუქციონის გარეშე), განცხადების ნომერი - NAT180015016.
- 2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2717199,92 (ორიმილიონ შვიდასჯვადმეტიათას ასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და ოთხმოცდათორმეტი თეთრი) ლარს, ყველა ხარჯისა და გადასახადის ჩათვლით.
- 2.4 კლასიფიკატორის კოდი: 34996000 - მართვისა და კონტროლის, უსაფრთხოების ან სასიგნალო მოწყობილობები გზებისთვის; 34996100 - შუქნიშნები.
- 2.5 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
- 2.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მუხლები, რომლებიც ეხება საგარანტიო ვადას, ძალაშია საგარანტიო ვადის პერიოდში.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი

- 3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი-დემონტაჟი) ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივად, შემსყიდველის წერილობითი დავალების შესაბამისად.
- 3.1.1 პირველი ეტაპი - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2018 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის წერილობითი დავალების შესაბამისად.
- 3.1.2 მეორე ეტაპი - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2019 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, შემსყიდველის წერილობითი დავალების შესაბამისად.
- 3.2 შემსყიდველის დავალებაში მითითებული იქნება ინფორმაცია მოსაწოდებელი შესყიდვის ობიექტის დასახელებების, რაოდენობის და მიწოდების ადგილ(ებ)ის შესახებ.
- 3.3 არსებული შუქნიშნის ობიექტების დემონტაჟი-დასაწყობება უნდა მოხდეს ახლის სამონტაჟო სამუშაოების დასრულებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში.
- 3.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდების (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი-დემონტაჟი) ადგილი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, შემსყიდველის დავალებით განსაზღვრული ადგილ(ებ)ი.
- 3.5 მიწოდებელი ვალდებულია დასამონტაჟებელ შუქნიშნის ობიექტებზე შეადგინოს შუქნიშნის ობიექტის პასპორტები, რომელიც სამონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან და საპატრულო პოლიციასთან.
- 3.6 შესყიდვის ობიექტის მიწოდება დასრულებულად ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ სსიპ „ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში“ ან სხვა აკრედიტირებული პირთან წერილისა და დასრულებული სამუშაოების დოკუმენტაციის წარდგენის დღისთვის.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

- 4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
- 4.2 მოწოდებული საქონელი უნდა იყოს უნაკლო.
- 4.3 მოწოდებული საქონლის საგარანტიო ვადა შეადგენს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წელს.
- 4.4 საგარანტიო პერიოდში მოწოდებული საქონლის მიერ წუნის/დეფექტის/დაზიანების გამოვლენის ან მწყობრიდან გამოსვლის (გარდა მექანიკური დაზიანებისა) შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საქონელი შეაკეთოს ან შეცვალოს ახლით, წუნის/დეფექტის/დაზიანების/მწყობრიდან გამოსვლიდან არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში.

4.5 წუნის/დეფექტის/დაზიანების/მწყობრიდან გამოსვლის გამო შეკეთების ან ახლით შეცვლის შემთხვევაში, შესყიდვის ობიექტის ტრანსპორტირება უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და გამოცადონ საქონელი და გაწეული მომსახურება, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა.

5.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი) ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი).

6.3 მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მხოლოდ სსიპ „ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული დადებითი საქსპერტო დასკვნის წარმოდგენის შემდგომ, რომელიც უნდა შეიცავდეს, როგორც დასკვნას შესრულებული სამუშაოს მოცულობების თაობაზე, ასევე, მოწოდებული საქონლის შედარებას შემსყიდველის მიერ მოთხოვნილ ტექნიკურ პირობებთან (გარდა სადემონტაჟო სამუშაოებისა).

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 2018 (არაუმეტეს 500000 ლარი), 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი-დემონტაჟი) ან/და გაწეული მომსახურების ან/და შესრულებული სამუშაოების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მე-13 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შემსყიდველი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურებისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა შემსყიდველის მიერ დაქვითულ იქნეს, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.

7.4 შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) გამოყენება საავანსო თანხის იდენტური ოდენობის, უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში (რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას) ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით. მიმწოდებელმა ავანსის თანხები უნდა გამოიყენოს მხოლოდ ამ შესყიდვასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.

7.5 უპირობო, გამოუთხოვადი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

8.6 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტის მოთხოვნებს, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებლობით.

9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის 5 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

ბ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

9.6 ამ მუხლის 9.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყერების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს, მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.

10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შესრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობის და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს

გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4 იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ღირებულება

12.1 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.

12.2 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა.

12.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

12.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12.5 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

13. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

13.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზაწილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით. შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზაწილის გაგზავნის მეშვეობით. ამასთან, ტელეფონით დაკვეთის შემთხვევაში მიმწოდებელს 24 საათის განმავლობაში ჩართული უნდა ჰქონდეს 13.2 პუნქტში მითითებული მობილური და ქალაქის ტელეფონის ნომრები.

13.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტაქტო პირი ქ-ნი: შორენა ნაცვლიშვილი; მობილური ტელეფონის ნომერი: 595 05 11 33; 577 42 77 33; ელექტრონული ფოსტა: sh.natsvlishvili@gmail.com.

ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტაქტო პირი ბ-ნი მზევარ გოგილავა, მობილური ტელეფონის ნომერი 577 15 55 56, ელექტრონული ფოსტა: mgogilava@tbilisi.gov.ge.

13.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.

13.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.

14.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

14.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია

15.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე – უპირობო,

გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, NICG-BG-018 გაცემულია სს „ეროინს ჯორჯია“-ს მიერ, თანხა 135860 (ასოცდათხუთმეტი ათას რვაას სამოცი) ლარი (დანართი - 1 ფურცელი).

15.2 მიმწოდებელს მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

15.3 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

15.4 უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

16.4 „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომრებაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

16.5 „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარსს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

17. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მის: ქ. თბილისი,
ქ. შარტავას ქ. №7
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა № GE24NB0330100200165022
ს/კოდი: 204521794

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის
საქალაქო-სამსახურის პირველადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

მ. მუშლაძე

მიმწოდებელი:

შპს „თბილისი რეფიერ კომპანი“
მის: ქ. თბილისი, ვაზისუბნის II
მ/რ, კორპ. 15, ბ. 39
სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“
კოდი: UGEBGE22
ა/ა № GE62VT7000000002353602
ს/კოდი: 206271014

შპს „თბილისი რეფიერ კომპანი“ -ს
დირექტორი

მ. ნაცვლიშვილი

ქ. თბილისში შუქნიშნის ძველი ობიექტების განახლებისა და ახალი ობიექტების მოსაწყობად შუქნიშნების, დეტექტორების, კამერების და კონტროლერების (თანმდევი მომსახურებით-დაამონტაჟება და მათი მართვის ცენტრთან მიერთება) და უსაფრთხოების კუნძულების მოწყობის შესყიდვის ტექნიკური დავალება
ზოგადი მოთხოვნები პერიფერიული მოწყობილობებისადმი:

მიმწოდებელმა უნდა დაამონტაჟოს და დააინსტალიროს პერიფერიული მოწყობილობები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

1) გამოყენების პირობები

მთელი მოწყობილობების სამუშაო გარემოს ტემპერატურის დიაპაზონი უნდა იყოს -30 °C-დან +60 °C-მდე, ღია გარემოში სეზონური ნალექების გათვალისწინებით.

2) მოთხოვნები საგზაო კონტროლერისადმი

2.1. ზოგადი მოთხოვნები:

2.1.1 კონტროლერს უნდა გააჩნდეს მოდულირებადი სტრუქტურა, შესასრულებელი ფუნქციების გაფართოების შესაძლებლობით.

2.1.2 კონტროლერი უნდა უზრუნველყოფდეს თავისი და მასთან მიერთებული შუქნიშნების მდგომარეობის დიაგნოსტიკას, ხარვეზების შესახებ ინფორმაციის ცენტრში გადაცემის საშუალებით.

2.1.3 კონტროლერი უნდა უზრუნველყოფდეს წარმოქმნილი ხარვეზების შესახებ ინფორმაციის შენახვას ენერგოდამოუკიდებელ მეხსიერებაში.

2.1.4 კონტროლერმა უნდა შეინარჩუნოს მუშა მდგომარეობა, ელექტრომომარაგების გათიშვის შემთხვევაში, არანაკლებ 4 საათის განმავლობაში (კონტროლერის კარადა, უწყვეტი კვების წყარო და აკუმულატორების შესაბამისი კომპლექტი უნდა შედიოდეს კონტროლერის მისაწოდებელ კომპლექტაციაში).

2.1.5 კონტროლერი უნდა უზრუნველყოფდეს კარადის გაღების შესახებ საგანგაშო შეტყობინების გადაცემას.

2.1.6 კონტროლერის კარადის დაცულობის ხარისხი უნდა იყოს არანაკლებ IP54.

2.1.7 შემოთავაზებულ კონტროლერს უნდა გააჩნდეს შემდეგი სერტიფიკატები: EN-12675, EN-50293, EN-50556;

2.2 ტექნიკური მახასიათებლები

2.2.1 გზაჯვარედინის მუშაობის პარამეტრების შენახვა ენერგოდამოუკიდებელ მეხსიერებაში.

2.2.2 არანაკლებ 16 სასიგნალო ჯგუფის მართვა.

2.2.3 არანაკლებ 16 სატრანსპორტო დეტექტორის (კონტროლის ზონების) მიერთება, დამუშავება და მართვის ცენტრში სატრანსპორტო ნაკადის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გადაცემა.

2.2.4 კონტროლერის მოდულების წინა პანელზე, სასიგნალო ჯგუფების ყველა გამოსასვლელის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შუქდიოდური ინდიკაცია.

2.2.5 კონტროლერის მოდულების წინა პანელზე, სასიგნალო ჯგუფების ყველა გამოსასვლელის ავარიული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შუქდიოდური ინდიკაცია.

2.2.6 ყველა სახის სასიგნალო ჯგუფების ჩართვის კონტროლი.

2.2.7 ყველა (ან ამორჩევით, კონტროლისთვის მონიშნული) შუქნიშნის მოდულის გამორთვის (დაზიანების) კონტროლი.

2.2.8 შეცდომის რეჟიმში (რეჟიმი „ყვითელი ციმციმი“) გადასვლა, ჯგუფში შემავალი ყველა შუქნიშნის სექციის წითელი სიგნალების გამორთვის (ან დაზიანების) შემთხვევაში.

2.2.9 შეცდომის რეჟიმში (რეჟიმი „ყველა გამორთულია“) გადასვლა, სასიგნალო ჯგუფების კონფლიქტურ გამოსასვლელზე ძაბვის აღმოჩენის შემთხვევაში.

2.2.10 მასზე მიცემული დროებითი პროგრამების შესრულების მრავალდონიანი კონტროლი.

2.2.11 ეკოლოგიური მონიტორინგის მოწყობილობების (დეტექტორების) მიერთების შესაძლებლობა.

2.2.12 კომუნიკაცია: ETHERNET და შესაძლებელია დაემატოს RS232

2.2.13 ცენტრალური მართვის პუნქტიდან პროგრამირების შესაძლებლობა.

2.2.14 გარეთ გამოტანილი პანელი კონფიგურირებისთვის.

2.2.15 გამოტანილი წინა პანელიდან პარამეტრების შეცვლისა და არსებული რეჟიმების გადართვის ფუნქცია.

3. მოთხოვნები მართვისა და მუშაობის რეჟიმებთან:

3.1 შუქნიშნის ობიექტისა და მართვის ცენტრის მოწყობილობებთან მუშაობისას, კონტროლერმა უნდა უზრუნველყოს:

3.1.1 მუშაობა არანაკლებ 8 გეგმის (გზაჯვარედინზე მოძრაობის მართვის დროებითი პროგრამა) მიხედვით, რომლებიც თავისუფლად უნდა პროგრამირდებოდეს და აქტივირდებოდეს.

3.1.2 გეგმის არჩევის შესაძლებლობა (გზაჯვარედინზე მოძრაობის მართვის დროებითი პროგრამა) მართვის ცენტრიდან მოსული ბრძანებით.

3.1.3 გეგმის არჩევის შესაძლებლობა (გზაჯვარედინზე მოძრაობის მართვის დროებითი პროგრამა) სატრანსპორტო ნაკადის მდგომარეობისა და დეტექტორებიდან მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

3.1.4 გეგმის არჩევის შესაძლებლობა (გზაჯვარედინზე მოძრაობის მართვის დროებითი პროგრამა) დღე-ღამის ცვლილების მიხედვით, როგორც არანაკლებ დღეში 24 დროითი წერტილის აქტივაციით.

3.1.5 წინასწარ შემუშავებული კონტროლერის მუშაობის კვირის პროგრამის რეალიზება.

3.1.6 შემდეგი მართვის რეჟიმები:

3.1.6.1 მართვის ლოკალური რეჟიმი ფიქსირებული გეგმების მიხედვით.

3.1.6.2 მართვის ლოკალური რეჟიმი ტრანსპორტის საერთო ნაკადიდან გამომდინარე (ლოკალური ადაპტიური რეჟიმი – local adaptive control).

3.1.6.3 კოორდინირებული მართვა კონტროლერის შიდა საათთან სინქრონიზაციით (მართვის ცენტრის გარეშე).

3.1.6.4 კოორდინირებული მართვა ფიქსირებული გეგმების („მწვანე ტალღა“) მიხედვით.

3.1.6.5 ავტოტრანსპორტის საერთო ნაკადიდან („ტრაფიკი“) გამომდინარე ადაპტიური და კოორდინირებული მართვა.

3.1.6.6 მართვა (ფაზების გამოძახება) სატრანსპორტო დეტექტორიდან ან ფეხით მოსიარულეთა გამოსაძახებელი ღილაკიდან მიღებული სიგნალით.

3.1.6.7 საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრიორიტეტული გავლა.

3.1.6.8 დენის წყაროს გათიშვის შესახებ ინფორმაციის გადაცემის ფუნქცია;

3.1.6.9 მოძრაობის მართვის სისტემის ან მოძრაობის მართვის სისტემასა და შუქნიშნის მართვის ცენტრს შორის კავშირის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში მომწოდებელს უნდა შეეძლოს გზაჯვარედინის კოორდინაცია, რაც შეიძლება მიახლოებული შუქნიშნის იმ დროით გეგმებთან, რომლებიც გამოყენებული იქნებოდა, თუ მოხდებოდა მწყობრიდან გამოსვლა ან ხარვეზი.

4. მოთხოვნები სხვა მოწყობილობებთან ურთიერთობის ნაწილში:

4.1 კონტროლერს უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა მიუერთდეს მართვის ცენტრს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კავშირის ხაზებით ქსელში TCP/IP პროტოკოლის მეშვეობით.

4.2 კონტროლერს უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა მიუერთდეს მართვის ცენტრს ფიჭური უსადენო კავშირის ხაზებით (GPRS).

4.3 კონტროლერს უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა მიუერთდეს სატრანსპორტო ინტრუზიული და არაინტრუზიული დეტექტორები.

4.4 კონტროლერს უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა გაასაშუალოს და გადასცეს მართვის ცენტრში ინფორმაცია, რომელიც მიღებული იქნება დეტექტორებიდან (კონტროლირებადი ზონებიდან).

4.5 კონტროლერი უნდა გადასცემდეს მართვის ცენტრში ინფორმაციას თავისი სამუშაო მდგომარეობის შესახებ და აგრეთვე შუქნიშნის ობიექტის გაუმართაობების და მათი ტიპის შესახებ.

4.6 კონტროლერი უნდა გადასცემდეს მართვის ცენტრში ინფორმაციას ყველა კონტროლირებადი შუქნიშნის დაზიანების (გადაწვის) შესახებ.

4.7 კონტროლერს უნდა გააჩნდეს ფეხით მოსიარულეთა ხმოვანი მაუწყებლების (audible pedestrian signal) მიერთებისა და მართვის საშუალება.

- 4.8 კონტროლერი უნდა უზრუნველყოფდეს თავისი მდგომარეობის დიაგნოსტიკას და უნდა ჰქონდეს ხელით მართვის ფუნქცია.
- 4.9 კონტროლერი უნდა უზრუნველყოფდეს სისტემური დროის სინქრონიზაციას. მართვის ცენტრიდან მიღებული ბრძანებების ან GPS გადამცემის საშუალებით.
- 4.10 კონტროლერში ეკოლოგიური მონიტორინგის მოწყობილობების დაყენებისას, იგი უნდა უზრუნველყოფდეს მართვის ცენტრში ავტომაგისტრალზე ატმოსფეროს დაბინძურების დონის შესახებ ინფორმაციის გადაცემას.
- 4.11 კონტროლერს უნდა გააჩნდეს ჩაშენებული WEB- ინტერფეისის მეშვეობით რეჟიმების შემოწმების და მართვის შესაძლებლობა.
- 4.12 კონტროლერს უნდა გააჩნდეს მართვის ცენტრთან მიერთების და მონაცემთა გაცვლის შესაძლებლობა. პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ყველა საჭირო ინფორმაცია, რაც უზრუნველყოფს კონტროლერის მართვის ცენტრთან მიერთებას.
- 4.13 მოწოდებულ საგზაო კონტროლერს უნდა გააჩნდეს საგზაო მოძრაობის კონტროლის (მართვის) სისტემის ღია საკომუნიკაციო ინტერფეისი (პროტოკოლი). ამ ტექნიკური დავალების მიზნებისთვის ღია საკომუნიკაციო ინტერფეისი (პროტოკოლი) ნიშნავს არანაკლებ 3 სხვადასხვა მწარმოებლის საგზაო მოძრაობის მართვის სისტემასთან მიერთებისა და ფუნქციონალის სრულად გამოყენების შესაძლებლობას.
- 4.14 შუქნიშნების ადგილობრივ კონტროლერებს უნდა შეეძლოს დისტანციური საკომუნიკაციო კავშირის საშუალებით სხვა მართვის სისტემებთან დაკავშირება და მათ კონტროლს დაქვემდებარება, ასეთი სისტემებია: პერიფერიული მართვის სისტემა, მოძრაობის მართვის სისტემა (TCS) და ქალაქის სხვა სისტემები (თუ საჭიროა).

5. UTC სისტემა

- 5.1. საგზაო მოძრაობა, რომელიც გააქტიურებულია მოძრაობის ნაკადით და რომელიც იზომება სატრანსპორტო დეტექტორებით.
- 5.2. კონტროლერების კალენდარული საათი დღეში არანაკლებ 32 დროის წერტილის მითითებით.
- 5.3 შეეძლოს მუშაობა ქვემოთ ჩამოთვლილ რეჟიმებში:
- 5.3.1 ადგილობრივი კონტროლი.
- 5.3.2 ადგილობრივი მართვა, ადაპტირებული საგზაო მოძრაობის ამოქმედებით.
- 5.3.3 კოორდინირებული კონტროლი მოძრაობის სხვა კონტროლერებით, მწვანე ტალღებში არსებული საათით ან მთავარი კონტროლერის მიერ მოძრაობაში მოყვანით.
- 5.3.4 როგორც SUUTC ადაპტირებულ სისტემას დაქვემდებარებული კონტროლერი.

6. კავშირი სხვა მოწყობილობასთან

- 6.1. მოიცავს მოწყობილობას UTC სისტემასთან კავშირისთვის.
- 6.2. გადაცემის მართვას (TC) უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა Ethernet-ის საშუალებით დაუკავშირდეს ადგილობრივ ქსელს (LAN) TCP/IP-ს (გადაცემის მართვის პროტოკოლის/საიდენტიფიკაციო პროვაიდერის) საშუალებით და თვითონ კონტროლერს უნდა ჰქონდეს ჩამონტაჟებული TCP/IP სტეკი, რომელიც უზრუნველყოფს რომ ერთდროულად რამდენიმე მომხმარებელი ან სისტემა დაუკავშირდეს ერთმანეთს და შეაღწიოს მარეგულირებელში.
- 6.3. TC –ს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გააგზავნოს SMS და E-mail შეტყობინებები, როცა იქნება განგაში ან რაიმე სახის გაუმართაობა.
- 6.4. TC-ს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გამოიძახოს PSTN მოდემი ან GSM მოდემი, როცა იქნება განგაში ან რაიმე სახის გაუმართაობა და გააგზავნოს ამის შესახებ შეტყობინება.
- 6.5. შესაძლებლობის ფარგლებში ხარვეზების გამოსწორება გაუმართაობის შემთხვევაში.
- 6.6. არანაკლებ 7 დღე-ღამის მოძრაობის აღრიცხვა გრაფაზე, მონაცემების გადაყვანა უნდა შეიძლებოდეს Excel-ში.
- 6.7. პარამეტრების ახალი ფაილის ატვირთვა/ჩამოტვირთვა.
- შემოთავაზებული საგზაო კონტროლერი თავსებადი უნდა იყოს ამჟამად არსებულ სისტემებთან ("Semex Etraffic v4.23"; „Siemens SITRAFFIC Scala“) და უნდა აკმაყოფილებდეს მე-4 პუნქტის 4.13 ქვეპუნქტის

მოთხოვნებს, ან მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ალტერნატიული სისტემა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს მე-7 პუნქტში მოცემულ მოთხოვნებს.

7. საგზაო მოძრაობის მართვის საერთო სისტემა (ზოგადად)

- საგზაო მოძრაობის მართვის საერთო სისტემა უნდა მოიცავდეს ყველა ქვესისტემას და მოწყობილობას, ტექნიკასა და პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც საჭიროა გზაჯვარედინზე მიმწოდებლის პროექტის შესაბამისად შუქნიშნის მართვის ცენტრის მართვისთვის.
- მოწოდებულ საგზაო მოძრაობის მართვის საერთო სისტემას უნდა გააჩნდეს ღია საკომუნიკაციო ინტერფეისი (პროტოკოლი). ამ ტექნიკური დავალების მიზნებისთვის ღია საკომუნიკაციო ინტერფეისი (პროტოკოლი) ნიშნავს მინიმუმ 3 სხვადასხვა მწარმოებლის საგზაო კონტროლერის მიერთების და ფუნქციონალის სრულად გამოყენების შესაძლებლობას.

7.1 მოძრაობის მართვის სისტემის მინიმალური შესაძლებლობები და ზომები

ქვემოთ წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია წაკითხული უნდა იყოს ამ დოკუმენტის ყველა შესაბამის სხვა ნაწილში წარმოდგენილ ინფორმაციასთან ერთად. მიმწოდებლის მიერ შუქნიშნის კონტროლერისთვის მიწოდებული სისტემა უნდა შეესაბამებოდეს როგორც არანაკლებ ქვემოთ ჩამოთვლილ შესაძლებლობებს:

7.1.1 სისტემა საშუალებას უნდა იძლეოდეს მასში დაახლოებით 400 ობიექტის ჩართვისა.

7.1.2 სისტემას უნდა შეეძლოს საკომუნიკაციო ქსელის სხვადასხვა ადგილას განთავსებული შუქნიშნის ობიექტზე დამონტაჟებული დეტექტორებიდან ინფორმაციის ამოღება. ამ მიზნით სისტემის მინიმალური ზომა უნდა იყოს 16 დეტექტორი ყოველი კონტროლირებადი გზაჯვარედინისთვის.

7.1.3 სისტემის მიერ გაკეთებული ყოველი რეალური დროის კონტროლის ბრძანება უნდა შესრულდეს შემსრულებელი მოწყობილობის მიერ, ბრძანების გაცემიდან არაუგვიანეს ერთი წამისა. ბრძანების საკომუნიკაციო ციკლის განსაზღვრის მიზნით და სამუშაო სადგურის ოპერატორისთვის საპასუხო ინფორმაციის მიწოდებისთვის განსაზღვრული დრო არ უნდა აღემატებოდეს ერთ წამს.

7.1.4 სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს არანაკლებ 16 დროითი გეგმის შენახვასა და კონტროლს ყოველი კონტროლირებადი გზაჯვარედინისთვის.

7.1.5 სისტემამ უნდა შეძლოს გააკონტროლოს დროითი გეგმები ციკლის ხანგრძლივობით: 30-200 წამი. ამ სისტემამ უნდა უზრუნველყოს შუქნიშნის კონტროლერების კოორდინირებული მუშაობის (მწვანე ტალღა) პერიოდში დროითი გეგმის კორექტირება არსებული ცვალებადი ნაკადების მიხედვით (სატარნსპორტო დეტექტორებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე).

7.1.6 სისტემამ უნდა შეძლოს აკონტროლოს მინიმუმ 16 სხვადასხვა ჯგუფი თითოეული კონტროლირებადი დროითი გეგმისთვის. თითოეული ეტაპისთვის სისტემამ უნდა შეძლოს აკონტროლოს მაქსიმალური დრო და მინიმალური დროის გაგრძელება ადგილობრივი ან დაშორებული დეტექტორებიდან.

7.2 მოძრაობის მართვის სისტემის ფუნქციონირება

მოძრაობის მართვის სისტემის, ყველა ქვესისტემისა და მოწყობილობების ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მიმწოდებელს.

7.3 სისტემის ამოქმედება და ექსპლუატაციისთვის საჭირო გამოცდილება

შემოთავაზებული მოძრაობის მართვის სისტემა, ქვესისტემები და მოწყობილობები აპრობირებული უნდა იყოს მსოფლიოს არანაკლებ 5 ქალაქში.

7.4 მოძრაობის მართვის სისტემა - ფუნქციური მოთხოვნები

7.4.1 შუქნიშნების კონტროლის მეთოდები და სტრატეგიები

მოძრაობის მართვის სისტემა უნდა იყოს მოქნილი და შეეძლოს რამდენიმე სხვადასხვა კონტროლის მეთოდის და სტრატეგიის გამოყენება, მათ შორის სრულად ადაპტირებული კონტროლი, მისაღები დროითი გეგმის შერჩევა და კონტროლთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების კომბინირება როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე.

7.4.2 სრულად ადაპტირებული კონტროლი

სისტემას უნდა ქონდეს შესაძლებლობა შეცვალოს ციკლის ხანგრძლივობა, დაყოს და რეაგირება გააკეთოს დროით გეგმაზე, რომლებიც უკვე არსებობს ქალაქის გზების გადაკვეთებზე და რომლებიც გაანგარიშდება მოძრაობის მართვის სისტემის მიერ მოძრაობის შესახებ გზის გადაკვეთებზე და/ან ქსელის სხვა ადგილებში განთავსებული დეტექტორებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

7.4.3 სქემის შერჩევა

სისტემას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, წინასწარ განსაზღვრული დროითი გეგმები იქონიოს მოძრაობის მართვის სისტემაში.

7.4.4 კომბინირებული ცენტრალური და ადგილობრივი კონტროლი

სისტემას უნდა შეეძლოს რამდენიმე ცენტრალური და ადგილობრივი კონტროლის მეთოდის კომბინირება, მათ შორის:

7.4.4.1 კონტროლთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილების მიღება შუქნიშნის ადგილობრივი კონტროლისაგან, მათ შორის გადაწყვეტილებების პრიორიტეტული მეთოდის/სტრატეგიის შესახებ. ადგილობრივი კონტროლერები თავიანთი გადაწყვეტილებების დროს უნდა ეყრდნობოდნენ ადგილობრივი დეტექტორებიდან მიღებულ ინფორმაციას. ცენტრალურმა სისტემამ ამ შემთხვევაში მხოლოდ უნდა შეამოწმოს კონტროლერები და გამოასწოროს გაუმართაობები.

